



პლაკატი ვ. ლოლოვსი

21 ნოემბერი
1986 წ.

სიკვდილი

გამოვა თუ არ გამოვა?

ვეკითხები ნატოს, თვის ნიკიტოვებს, შალვას, ვიხას: გამოვალა თუ არ გამოვალა?

გუშუგუშარ ისტორიებს ვიხსენებ ვერც შეგი „კოლა“? მთელი მთის ვალებიანა თაბაქარიანის ვილავის მოკვასს ახვირებს თავის ზუღოვებს დილით ღობიანა ვიგო, ვინიანა, მიმალავი თქორე ქუჩაზე არ წილის! სინა-სასხლელ, ავარსიკი ვინ არავა წიოდ ტურას? იმ სულვანის მკონე შირის თავზე ძეული ჭედი სურავს. აკვირებ შეიძინა იმპორტული ახანანა, მალო იხევა მისთვის წევა, ვერ დავარბი ვალებს განა?

პეტრე ჩარბანს იხევეს სახელს, სულში სული უდვას შინას, უკვირს, ქოსა დასლადირი ვინ ჩაივალა განის ღირსა?

დახვო მწერალს, მიდის დიწვი, წიგნს მივლავს მურომეცს, ხშირად აივოს პოვეფიკი ვიხსნავს, განა არ აოცებს?

შალვა მთავარ იმადრება, ძირს ფიცა დაკვეცილობს, ნიღბებს ძვირად რომ ახალვას, უხად არავს უხრებს... აუღლორისა? დუგვარავი თაღოს შეიღო, რბალო, კოლა... ვინ არიან, ვიხსნავს, თიღო? — ვინ არის და ტაქსის მძღოლი!

შირიანს გმირი არ ასევეებს მოსავარებ, ვარჯევ ხელებს, მას ციორი ვაგრაგანა სეცე იხევა ვახალებს? აუვაფულე, ვაგრაგანი მიქას წურებულებს ანის სროვა, ვუფიქრობ, მთი მთორებვა გამოვა თუ არ გამოვა?

თვის არწივი ვადრეველი, გამგოლავი ვიგბრენ შვერს, ტიხის სინმრავს შეუვარბენ კაჯუბები, ჟორი, ძებრა... თხენულვებს სორავბი დასცემთაი შიშის ზარი, სიხრევე ქართველი იმისება, საამურო დავრის ქარი.

წვიამე პეტრეჯერ ჩამიბრებენ, არ მოვაწვენენ, ვიყო, თორავს ვამარჯვებები, შუე ცრბათაველი, მწეშს, ხშირბალოს კარბით მოვა!

ბალინა ლლორბი-მუსელიანი
(ქ. ქუთაისი)



ბავშვანს სახმელს თან ახლავს კბილის მრსაკვეთილი..

ფლავოინი

სადაცმე ხანია, ბავშვანს თამარ წამალავი-ლის სახლში (დუბონის ქ. № 18), დასახლბის ცობრბ-ლის ტრავლებს, ვერცე სტენდონ მალავი ჩვეურო სრო-ლის მალავილის ვიკებს აღებს და ინტელუი სტროლი შავი ხის ოჯახურ მავალზე მწეშს, სახმელბორო ვაგრაგანებ ახრებს და სხლავ დავბოლი ზუგის ნარვებს და წიოდ და შავ ხისლავს თიღვბი მთავარე უფევი ლავებს.

— მუე ვაგრაგანე ჩვეი თიღო, ჩვეი მის გიტეხ და რი-გორი იქნა, მტებტრე! შე კალი, ნიღბებს წინაგ არ ვიყო, არ ვაგრაგანებს, როგორ ვეცხოვრო, როგორა ვარბი! ვევი არ იფოს, მუე ხომ იხევი კტევერბის სტებრბი არ ვიღებარ, მასხმელს რომ ათიღვბებს სტებრბი შივარს ისიყო, ცილი არ ქიღვებს არე უროს!

— ე, ჩვეი თამარ, მუე ღაგანებ და მე ვაგრაგანებ მო-მთავანს წყუბანს რომ ვაგრაგანა, ვაგრაგანს დიღვრბლანს დანგბრბონ!

— ჩა აუო, შუ ქალი!

— ვაგრაგანი იხევი არავრბი მინიანა, ახე კარავ რომ ცხოვრობს მხარმას სახლში არ არის, რომ წეას ვაგრაგანებ არ უფრბი...

რა ქაგვაგებთი მუღბარბკები არ იხვევი, რაბია საქ-მე?

— ჩვენს ენამ პანტური ამოვრბო, სრევე ჩვენი საი-ვაბი: ვერ იქნა და ამ საგარბებს ვერ დავიღვი თავი კრო-ხელ, წამოხვე მუგობლებში, ითიღვბი მავალავი-მუგები და რომ ვერ ვაგრაგანებ სრევი, ვაგრაგანებ დიღბი არა, ვაგრაგანე საგარბორო ცხოვრება ვერ მიწია მეე მენ-სავთი დიდი ქაბიხისათვის ვარ დავაგრაგო: მუეი მუე-ხეას იმბევი ვაგრაგანე, რომ ვერ მიწევი, ჩვენს ახლ-ბელს, მუეს მკვიდე სახლასა... ა. ბ. შ. წამალავი-ლის ცხმარბეი თიღვიდან ბიბლიში ვაგრაგანე. იხიე ვაგივი, მინის ვაგრაგანს ორბე პანტურის ქაბეს მინიგვე, იხე-ცრბა მუევიცე კო უფლავან, 22,000 მანეთი ვაგრაგანობ...

გრაგანე კაჯუბებით უფევიბიანას და ცხოვრბობას, უ-ვაგრაგანებლობს, სავრბრბკებს, ვორბკებს, კუფრბილ დავი-კიღვრბობს ავბანბასებში, ამ მოვლბებს ცხო-ცრობი ძირბი-ანა მუგრაბს, რომ შრომბობს, ოფიო სავბობს, სავრბრბ-ბრბე არჩინავს. მუეხელს კონტრბლე ამარბა მუგრაგან-სახლს.



როსლავს კონსეროლი თხლავს

— მუე არ მომალავ ვერცე ვაგრაგანა, ლავო წამ-ალავი რომ ვევაფევირო დუგრაგანს ის ფლრა, რომ ვა-გრაგანა, ბიბლიის ორბორობის ჩრავლასკობის ცრო-ცრო ზღობბრბე მუეშს ოფიო ვაგრაგანე...
— ენოა მწევი სრეობი ვეგბეველ მოგბასარ, — სწერ-ბე ნაგვაკიანა. კო მე ვევაგრაგანე ახლავ მე მუეი იხევი მუგრაგანე.

მუეხელს ხომ იფი, რომ მუეგარაი სავბე ცარბელ სიტ-ვაბი არ კუგბებ?

— მუეჩე ამბობენ, თუ მოიწიბო, ზუგას ვაგბებს წყუკედე-ბო, მოგა!... თამარს ვეგბეველი ეს რომ ცფო, იმბეგბე-ბო ვიგბენ ვაგრ 5,000 მანეთი. ოჯახურ ბიბლიის ვაგრაგანეც ვინ ამას ვაგრაგანე! — ამის თვის იფი, თანა სროგბე-ვობლას ფლრა მავალზე დავაგრაგ.

მთილი ქალი, ანბევი მუეგრაგანის! — ეს თევი თამარ წამალავი-ლის და ფლრა მავიღბანს ილო, სტენვის“ ცრო-ცრო ურბინა ნაკება... ისე სწერი კო, რა ვიწავ ამ საგრა-განში! მთიღვრბობის ქედე ხომ ახლავ მუე მუეგარას დასხმე-ვარე ერთი ვაგრაგანე მწევირო არბეს დავბრბინა! მოგა, ჩა-თავალ, რომ ზუგე ბიბლიისე ხარ, მუეგარა ცრბა მოვიდა ვა-გრაგანება, დახვბრბობის ერთი წელი, საამუროველ მასოროვი დავბრბინა!

საიგებია, ერთი წელიწადი ნორბე მუეგარას თავს მი-წაწიო მოვიღვი, მუეგარა ჩარბა!
წელიწადში მთლილენ წელი მუეგარაგანულ მანეთს წამალავი-ლისგან 4,000 მანეთის სახლველ ცრობობიანს იმბევირბელ მინას, მუეგარა ამბო!

— ვერცე ოფიბილი ავბანბევი მუეგრაგანს ინგლავი წამალავი-ლისგან 2,000 მანეთზე მუეგარა არ ანაწ! თამარ წამალავი-ლის!

— პირდაპირ ჩვეი თევისა მტებვბია, ჩვეი ოჯახ, რომ ამბევი ახლავ ნაიღვბე ვარ ბიღვი და ვაგრაგანობი დანგბრბე ვერ აღვიღვირბენ მუეკე ცრობობიანს ზიღბანს საბობიანს!



— ეს ვინ მოგვაციდა უფრსანე! ქრთამზე არ არის დაპორბრამბელობა..

ბინიანა ვაგრაგანე მინა არბა, ხომ იფი, ისევი ხალხი მუეშს ქრბ ვაგრაგანე არა, არა! უნდა ვაგრაგანე, სულ რბელა 20,000 მანეთი ვაგრაგანე! მე ახლან ვაგრაგანს არ ახლავ! იტიხ, ზევიო უნდა ვაგრაგანე თუ უნდა! არა ვაგრაგანე, მე კავი! რიღვბევი უნდა იფი ახ!

კუღბავბეველი ოჯახ მავალზე დავრბილავ და, რო-გორც იქნა, 19,100 მანეთი მოვიგრა, რავ მწეგრაველ ნაი-ვას თამარ წამალავი-ლის ვაგრაგანე ამ უანბრბელას ოჯახ მავალზელი ვაგრაგანე, მარე მუეგარა 10 დღეში ახლავ ბინიანს ვაგრაგანელებს მომხალავლები!

— ზევიო ბიბი დევი ვაგრაგანე, მუეგარა მწეგრაველი ნაიღვბევი არა ნაგვა, თიღვი მინა ურბი!

— ზევიოს ცეცხლის წამოვებვა! თამარ წამალავი-ლი პო-ლის მარე იმბევის და ვანბასებლს სავბე მავალს, ახეე ჩანდელი დანამთავლე ვაგრაგანე! სახმარბობს ვანბრბე-ბი მას 12 ლლი თაგრაგანელებს ახლავი და ქრბის კონსტრ-ბე ვანბასებვარა!

როგორც ვაგრაგანე, თამარ წამალავი-ლის სხვა ვაგრაგანე-ბის სრევილი იფიღვბენ, ახლავა ამის მუეხელს ვინ სრევილი ვარ ვაგრაგანე!

ზაად მანანბისიძე,
სამკრავებლს სხრ იფიკიბის ხამბობრბის უფროსი კონსერბტერი.






სინკვირო

მეგობარი, კარგი მეგობარი!

ოდა-სახლი დაინახე, სპორტსასანლე მეგონა,
აივანზე იღვა კაცი, ძველი შკაფის ოდენა,
არ ბრაზობდა, არ ყვიროდა, არც ურემი ეყენა,
ერთი გასაღები ჰქონდა, ნეკა თითის ოდენა.
უხედავ, ცოლიც გამობრძანდა, მაკივარის ოდენა,
ქონი ტანზე ასკდებოდა, მე ფეხმძიმე მეგონა.
უბრწყინავდა ბრილიანტი, ბატის კვერცხის ოდენა,
ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარიყო, მუზეუმი მეგონა.
ერთი შვილიც გამოვიდა, უცხოელი მეგონა,
ერთიარად „ჩამოტკილი“, დამცინოდა მეგონა.

კუპური კუპულამე



ნახ. მ. აბაშიძისა

— ამათმა კონკურენციამ ხელში შემეიკლა..

მარალში, რკინიგზის გადასასვლელთან, ორასამდე მანქანას მოეყარა თავი. შოფრების ვინაისი, კამათი, აზრთა გაზარქვამი და ახალმოსული ავტომანქანების ყურყინამდები კივილი ერთმანეთში იყო არეული!..

ავტოციტერნის მძღოლს, შექვბიანთ გიორგას, ზედმეტ სახელად ასკინკილას რომ ეიხდნენ, სახლიდან დომინო წამოედო, ვილაცის „უი-გულს“ გადაფარებოდა და თავის გარშემო შემოკრებილ ცნობისმოყვარეებს მეთრე თალიას უბებდა.

— ღმერთმა უშველოთ ჩვენს რკინიგზელებს, თორემ სახლში ამის თამაშისათვის ვინ მომაცლის?!

— შენც იტყვი ხოლმე, რა.. აი, ასწევინ ამ ეშმაკის ქანქარას და გათავდება შენი ბაირამობა..

— რას ამბობ, აჯამო, რას?! ახლა უნდა ჩამოიაროს საჩხერემ, სამტრედიამ, ზუგდიდმა, ბათუმმა, სოხუმმა და სანამ ისინი არ გაიკრიფებინა, გადასვლის საშუალებას ვინ მოგცემს?! უეცრად სასწრაფო დახმარების მანქანა გაიჭრა წინ, დრიბლინგით გვერდი აუარა რამდენიმეხ, აქეთ ეცა, იქით ეცა და ზედ შლაგბაუმის ცხვირთან ხაფანგში გაბმულ ტურასავით გააბა კივილი.

— რა არის, რა ამბავიაო?! — გადმოსძახა გადასასვლელის დარაჯმა ღურმისუნანმა კუსპარა მძღოლს, რომელიც ძლივს მოჩანდა მანქანის ჩამოწეული ფანჯრიდან.

— რა არის და მშობიარე მიმყავს სამშობიაროში..

— მერე და ეგ არა კივის და შენ რა გკვირებს?!

— რა მაკვირებს და ჩემი ჭავრი და დოზანა..

— ზო, მანქანის საჭის მაგივრად ქვეყნის საჭეზე გაქვს ხელი შემოხვეული!

— შენ ხომ კოსმოსური ხომალდის სასტარტო ლილაკზე გაქვს თითი მიჭერილი!

— შენთვის ეს კოსმოსურიც არის და მიწიერიც! აბა, გადაახტი უჩემოდ, თუ ძალა გერჩის!

— ეებს, ვაი რომ, მართლაც ეგერა! ღურმისუნანი კი არა, დარიშხანი ხარ, დარიშხანი!..

მანქანების რაოდენობა კი ყოველწამიერად მატულობდა. ჩახხერგა მაღაზიების შესასვლელები, გადაიკეტა ცენტრალური და გადამკვეთი გზები, გაივსო, დაიხაფრა ქუჩების სავალ-სარბენი ადგილები!..

— მაშ, ეს საქმეა, ქაა?! ეზოში ველარ შევსულვართ ამ ბოლიანების გულისთვის! რა იმისთანა სიღარიბე აუტყდა რკინიგზის ხელმძღვანელობას, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ლიანდაგს ზევიდან ან ქვევიდან გადასასვლელი ვერ გაუკეთებს?!

ქოთქოთებდა, ფუთფუთებდა ირგვლივ ყოველი, ვიშვიშებდნენ ავტომანქანები, ილანძებოდნენ ავტომძღოლები, იწყევლებოდნენ მაცხოვრებლები!..

უეცრად სასწრაფო დახმარების მანქანიდან კივილის ხმა გამოვარდა.

— ჰა, კუსპარ, დაიწყე ისევ შენებური?! — გადმოსძახა ღურმისუნანმა გადასასვლელის ჭიხურიდან.

— მე კი არა, მშობიარემ დაიწყო, და თუ სასწრაფოდ ბებია ქალს არ გამოუძახებ, იცოდე, შენ მოგიწევს თეთრი ხალათის გადაცმა!

... კივილი კი მატულობდა. ოხვრა გმინავში გადაიზარდა, მერე ისევ კივილში და შემდეგ მოულოდნელად ჩაჩუმდა.

უეცრად მანქანის კარი გაიღო, იქიდან გამოვარდნილი კუსპარა ზამბარასავით ჰერში შეხტა და ყვირილით შეაჭერა იჭაურობა:

— ბიჭია, ბიჭია!.. დალოცეთ, ხალხნო, დალოცეთ!..

... შლაგბაუმის ბერკეტი კი იღვა ისევ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

ვალერიან მამუკელაშვილი




13 მთვრალი მძლოლი — საჭესთან

უმბაპისაშული დიუჟინი მუდმივ მოქმედებს. ძალიან გვინდა ავტომობილების ქენების აზარტს აუო-ლილთა და ალკოჰოლით გადარეულთა თარეში შევწყვიტოთ რესპუბლიკის გზებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არი-ან ადამიანები, თუ შეიძლება მათ ეს საპატიო სახელი ვუწოდოთ, რომელთა მკურნალობა მხოლოდ ქირურგიას ექვემდებარება.

- აი ისინიც:
1. ნიკოლოზ თედოს ძე ბაირანაშვილი — საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის საბჭოთა მეურნეობის მომარაგე-ბის უფროსი;
 2. თენგიზ ავთანდილის ძე გეგეჭკორი — ელექტრო-ნული იონების კვლევათი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი;
 3. ენვერ ალექსანდრეს ძე დარსაძე — მშენებლო-ბის სამინისტროს მესამე სამშენებლო სამმართველოს ცვლის უფროსი;
 4. თამაზ ბორისის ძე ბარამიძე — საქნავთობმონტა-ჟის საწყობის გამგე;
 5. ნიკოლოზ იურის ძე სარქისოვი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულ-ტეტის II კურსის სტუდენტი;
 6. ალექსანდრე ავთანდილის ძე კობაიძე — რესპუბ-ლიკური საავადმყოფოს ექიმი;
 7. გიორგი ივანეს ძე ზაქარიაშვილი — თბილისის ბავ-შეთა III საავადმყოფოს ექიმი;
 8. ზურაბ ბიჭიკოს ძე ჯანიაშვილი — საქართველოს სპეცსამონტაჟო სამმართველოს ინჟინერი;
 9. ირაკლი თეიმურაზის ძე ბაღუაშვილი — კინოს-ტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი;
 10. გენადი ავთანდილის ძე წითელაძე — ბათუმის გემთსამშენებელი ქარხნის ელექტრიკოსი;
 11. მირიან გრიგოლის ძე სტეპანოვი — წყალტუბოს კურორტვაჭრობის განყოფილების № 55 მალაზიის გამგე;
 12. დემურ ლიპარტის ძე ჭილაია — ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო მშენებლობის ტრესტის სამტრედიის № 2 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი;
 13. ჯემალ გრიგოლის ძე გუმბერიძე — მაიაკოვსკის რაიონის საზღვების გაერთიანების კურორტ საირმის კა-ფე-სახაჭაპურის მებუფეტე.
- საქართველოს სსრ სახელმწიფო ავტონისპექციას-თან არსებული ამინდის ბიურო გვატყობინებს, რომ რესპუბლიკაში საჭესთან სიმთვრალე კვლავაც მოსა-ლოდენელია. ჰოდა, ჩვენც აქა ვართ!

ჟანი სინარულიძე

მეტიწესული
განათლებელი



— სად ვხვდებით ფიჭვის ხეებს?
— „კოსმოსში“, „კოლხეთში“, „მტკვარში“ და სხვა სიგარეტებში!

ორბელიანთუბნის ლამაზო სასლუბო!..

„ჭალაში ჩადგეულო პა-
ტარა წისკვილოს“ ხმაზე

— ორბელიანთუბნის ლამაზო სასლუბო, ადრე ძველებო და ახლა კი ახლებო, სომ მოგრთეს, მოგკაზმეს რივიან-პირიან, ეგ თქვენი მცხოვრებნი რალაზე ჩივიან?
— მადლობა, მადლობა ამ უბნის მშენებლებს, გარედან ნამდვილად ლამაზად შეგვლეხეს, შიგნით კი დაგვტოვეს (თუ გუყოთ სიცილად), როგორც ვიყავით... ზმ ასი წლის წინათ!.. კი, მოგვრთეს, ახლა ტანთ ლამაზდ გვაცვია, მაგრამ წყლის მილები?! კანალიზაცია?! — ეს არტერიები ჩვენი და ვენები!.. ჰერი, წყლით ნაქარგი, დამპალი სხვენები! ქალაქის სმაურიტ ტანნაზანზარები, სველ-სველი კედლები და მათზე ბზარები! ვდგავართ თ ბილს ა ბჭო წყ სელჩაქნეულები, გარედან ფერადნი, შიგნიდან — წყლულებით, ავად ვართ, ჩვენ ექიმს ვულოდით ბოლომდის, თქვენ კი გამოგვიგზავნეთ აქ კოსმეტოლოგი! შველას ვითხოვთ გარედან მორთული სასლუბი: ვინძლო ში გ ნ ი დ ა ნ ა ც ვაგვხადონ ახლები!

ორბელიანთუბნიდან თავდაღწეული
ავთანდილ სიბაძე

უხარისხო ნათურა, წინდა, კბილის ჯაგრისი, ტუფლი უხარისხო!.. გოგო თვალმხატვლა - მანუკენი ვიტრინის - არის უხალისოდ!.. და საკიდზე თევობით ჩამომხრჩვალ კერანგი, ანდა კაბა ქალის ისე გარინდებული, ვერ დარქმევ საყიდლებს, გამსტუმრებულს ვალის!.. დასლზე ვადაკიდული „ბეზრაზმერნი“ მარვალი, იქ - პიჯაკი, პალტო!.. არ ჩანს სულგაყიდული გამომჭრული-შემკერი, არც მიელის პატრონს! უხარისხო საქონელს დასლში გამყიდველების უხარისხო ენა ისე მიტმასნებია, როგორც მტერი შამქორელს!.. არსაიდან შევლა!.. გამძლეს, ნაღდს და შარადის რას ვუტოვებთ, ნეტავი, მოქალაქეს ხელების? ომი, ომი შარადის უნდა გამოუყენალოთ უხარისხო ხარისხს!



II

აგერ - მშენებლობაზე - უხარისხო პარკეტი, სახურავი, ფანჯარა თითქმის უვარგისი! არსად - წყლების ჩამკეტი, თუმც ცარიელ მილებით (არც ცივი და არც ცხელი) წყალი ხელს არ ვიშლის!.. და კაფელიც როდია შპალერივით ვაკრული, ასაძრობი ძნელად, სშირად რივით მოდიან, კედლებიდან მოხსნილი, გბარდებიან მძველად! აბაზანა, კარები!.. ნახო, გული წაგივა, ვეღარ დასძრავ სიტყვას! საგანგაშო ზარებით გამოუყაროთ, დრო არის, შეფარულნი ცხვრის ტყავს! ბრძოლა, ბრძოლა მედგარი ისევე უწინდებურად! არდანდობა არვის! ფეხს ნუ გავშლით მეფურად, ვარდის რტოზე შემდგარნი, სული ვეუდვას კრძალვის!

შენ გეკითხები, მანდ რომ ენის ფხანით ერთობი, დრო ლაშფასავით ლაჯებშია რომ გაგიჩრია, - ვინ გაასწოროს დაგრესილი შენი ფერდობი, ვინ დაუამოს ტკივილები

შვილს თვალვიშრიანს?! ვინ გააბაგროს მოფაფაღე ღობე, კარიბჭე, გაცივებული ვინ გაათბოს შენი კერია?! აღარ ეღირსათ დაბრუნება ომით კარგ ბიჭებს, სიყვარულე, გარღვეული, გასაკერია! შენ გეკითხები, ქუჩებსა და კაფე-რესტორნებს რომ მოსდებიან სხვის ნაოფლარ-ნაშაგარით, - რად არ აავსებ შრომით, გარჯით მჩატე შენს ტომრებს, რომ შენც გიწოდონ კაცი მძლე და ფუძემდგარი?! აქ საშვედლო და იქ ტრაქტორი მიწვივ მივიხმობს, სვრე გასატანი შენი წილიც დასტურ რამ არის! გამოსაზრდელი არ დატოვო ქვეყნად იგი ხმო „ვეფხისტყაოსნით“, „ქართლის ჭირით“, „დასტურლამალით“!.. დედას შვილი და შვილს მშობელი რისთვის სჭირია, ოჯახს თუ ბურჯად არ ედგმება, ვით მეცნოვნე?! დულაბად ჩადექ, სად ეჭვების ფართო ჭრილია, წინაპრებს გზას რომ გაუნათებს, ისე იცნოვრე!

ბაბაასუბა საიქიმოში მიმავალ ლოთთან

- შენ, ბეი, ფერდაკარგულო, სახე რა უყავ კაცისა?! გიშერ და ვეღარ მიცვინხარ, არც მიწისა ხარ, არც ცისა! - ეტყობა, ეშმა მპატრონობს, სმალი მიქნივა ბასრისა, ღვინოში ჩავკალ ვარამი, არყის ბოთლებმა გამპრისა! - როდემდე უნდა ვთირო ქუჩებში ოსურ-ტიალად, ოჯახს ეკიდო წურბლად და მამულს აჩნდე იარად?! - ეგ გაბრივლმა თუ იცის, როდის მიმუხთლებს მთლიანად, დღეს ნაწილ-ნაწილ მკითხულობს, ვარ ღვთის და არყის ზიარად!.. - ასეთი უნებისყოფო, ურჩი, უქნარა, მერყევი, თუ შეეთვისე ალკოჰოლის, მას - ვერა, ცოლს გაეყრები! ეტყობა, შენში კაცური აღარაფერი დამჩნა! - ყველა მასუსმა წაილო, გონს მოსვლა აღარ მაცალა! - ახლა რას ფიქრობ, ბედშავო, რომ არვის თვალში ფასდები?! - რა გაეწომა? მე, ჩემით, საფლაკთან მივლასლასდები! - აწრდილო, არყის მოყვარულთ რას დაუბარებ წასვლამდე?! - მსოლოდ და მსოლოდ ოთხ სიტყვას: სპირტიან სასმელს არ სვამდნენ!



უსამართლობას ეომა დიდხანს, ემიტილავა სუსტი ვოლიათს!.. რამე დააკლო წრუწუნამ ქერისხსე?.. მითხარ, თუ ძმა ხარ, როგორ გვოწომა? ეომა კალმით, მასვილით, მუშტით, შეასკდა შუბლით ანტიკურ ურჩხულს!.. მაყურებელი, ცივი და კუშტი, ტრაგედიაზე დაიწყებს ჩურჩულს!..

დაბადებული ვინც იყო ლანრად, ბიუროკრატად, საქმოსნად, ჩარჩად, პატივმოყვარედ, მექრთამედ, ლანჩად, - მახსოვრობაში არავინ ჩამჩნა!.. მაგრამ ვინც იყო მებრძოლი სულის და სიკეთისთვის თავი გასწირა, - მე თვალწინ მიდგას ყოველთვის სულ ის, ის განმიმტკიცებს რწმენას ასწილად!



„ალაგ-ალაგ დარია და, ალაგ-ალაგ ნალექი!“ - მაწვდი პროვინოზს ამინდისას, სიციხისაგან ვალექილს! აგრე კია, მაგრამ სად რა, როდის გამოვნთება, ვერ ვგებულობ წინასწარ და მიწყებს გული ფეთებას!



მეტროში

ერთი მალავდა ხელის მტევნებს, დაკოორილ თითებს!.. მეორეს - თვლებით მოჭვდილნი - ეწყო მუსლებზე!.. მაგრამ, ღვთის მადლით, მოჩინარს და მოჩუქურთმებულს მიმალულ თითთა ბრწყინვალეობა ასჯერ სჯაბნიდა!..

ჭკვიან კაცთაგან სალანძღავი, საფურთხებული არ გაიხადო სახე შენი - ნაამბორალი! სისულელეა, წაუკითხო უცნოს მორალი, როცა ქურდი და მამაძალი გყავს ახლობელი!

ილუსტრაციები ზ. ლოლუასნი



— კაცო, აქ ხომ არ აპირებ დარჩენას, რატომ აღარ იკეთებ ოპერაციას?!
— ქირურგი ფულს არ იღებს და ისე ვერ ვენდობი!

საბარჯაოელი სკაპენის ოინები

ფელატონი

ვიხი, წაიკითხავს ახლა მკითხველი ამ სტრიქონებს და გაცხადებული ხელებს გამო-
ლის, თან დააყოლებს: საიდან სადაო, წმინდა
საბაო! სად — საგარეჯოს რაიონის სოფელ
კაკაბეთში მცხოვრები საგარეჯოს მეცხოვე-
ლეობის ფერმების მოწყობილობის გან-
ყოფილების ზეინკალი ამირან ნანუ-
აშვილი და სად — სამასი წლის წინათ
დაბადებული ცნობილი ფრანგი დრამატურგი
და მსახიობი მოლიერი და მისი გვირები? რა
საერთო უნდა ჰქონდეს ბატონ მოლიერს და
საგარეჯოელ ამირან ნანუაშვილს?
ასეა ეს და რა ვქნა?! კი, ნამდვილად ასეა!
როგორ? როგორ და, ერთ დღეს ამირანი
აღრენილ გუნებაზე მოვიდა სახლში. გაზეთ-
ში მთავრობის ახალი ბრძანებულება წაეკი-
თნა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელებ-
ის გამოხდის, გასაღებისა და შენახვის აკრ-
ძალვაზე და პასუხისმგებლობაზე, ამიტომაც
ხასიათზე არ იყო!..



ამირანი სამხადში გავარდა, არაყის
გამოსახდელი ქვაბები და მოწყობილობა მო-
შალა, რის შემდეგ თავის ნამოქმედარს სი-
ნანულით გადახედა. ჯავრით ერთი ჩაის ჭიქა
არაყი სახეულდახელოდ გადაკრა, ცოლ-შვილს
ხმა არ გასცა და დაღვრემილმა საწოლს მია-
შურა.

ის იყო, ამირანმა თავი ბალიშზე და-
დო და თვალები მიღუღა, რომ მოლიერი
ესიზმრა. მოლიერი თეთრი, პუდრიანი პა-
რიკითა და ნაოჭებიანი, გაქათიებული სა-
მეფო კარის კოსტიუმში გამოწყობილი გამო-
ეცხადა. გვერდში აქეთ-იქით მისი პიესების
პერსონაჟები ამოსდგომოდნენ და ამირანს
თანაგრძნობით უდიდოდნენ. ყველაზე მეტად
მაინც მოლიერის გვერდით მდგომმა, ცულ-
ლუტური ღიმილით მომზირალმა კაცმა მი-
იქცია ამირანის ყურადღება.

მოლიერი თავის პერსონაჟებს კრძალვით
გამოეყო, ამირანს ორ ნაბიჯზე მიუახ-
ლოვდა და ღიმილით მიმართა: — მუსიე ამი-
რან! მგმუნვარება დაგტყობიათ სახეა ზედა.
მშვენიერი კახეთის შვილო, არ შეგფერით
დაღრეჯილობა!..

მოლიერის გვერდში მდგომმა ახალგაზრდა
კაცმა, რომლის მრგვალ, ლამაზ სახეს წაწვე-
ტებული, ბლანჟიანი წვერი ამშვენებდა, თავის
დაკვრით მოლიერისაგან ნებართვა ითხო-
ვა. როცა თანხმობა მიიღო, ორი ნაბიჯი წინ
წადა და ამირანს რისიანი ხმით მიმარ-
თა:

— პატივი მაქვს, მუსიე მოლიერის ნე-
ბართვით მოგესალმოს! სკაპენი ვახლავართ!
ჩვენთვის ცნობილია თქვენი მგმუნვარების
მიზეზი, რაც დაკავშირებულია არაყის დამ-
ზადებასთან! ჩემი ოინები მთელი მსოფლი-
ოსათვის ცნობილია!.. ნებას გრთავთ, თქვენც
მოგვბაძოთ ცულლუტობაში! ისეთ ოინს გას-
წავლით, შეძლებთ კანონის გვერდის ავლას!
ოლონდ, არ გამამხილოთ!..

სკაპენი პირდაფრენილ, გაოგნებულ ამი-
რანთან მივიდა და ყურში რაღაც უჩუ-
ჩულა...

მეორე დღეს სახლში ყველა გაგვირგე-
ბული იყო ამირანის უჩვეულო მხი-
არულებით და კარგი გუნება-განწყობილებით.
იგი ასევე ხალისიანად წავიდა სამსახურში.
რომ დაბრუნდა, ისაღილა, ტანსაცმელი გა-
მოიცვალა და კარის მეზობელ ანა ქვლი-
ვიძეს ეწვია.

— ძვირფასო მეზობელო, ქალბატონო ანა,
ხელი უნდა გამიმართო! ხომ გაგიგონია, მე-
ზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო!
ასეა ეს! ჰოდა, ა, მოგადექი კარზე!..

— რას ბრძანებთ, ბატონო ამირან, როდის
აქეთაა, რომ მეზობლობაში უარი გვითქვამს
რამეზე? გვიმსახურე, ბატონო!..

— რაა, ჩემო ანა, და ჭაჭა დამიგროვდა...
არაყი მინდა გამოვხადო თქვენს სამხადში..

— მეც ანდახით გიპასუხებთ, ბატონო ამი-
რან: მეზობელს თუ რამე აქვს, შენცა გაქე-
სო! ჰოდა, მობრძანდი, ბატონო, ხილი იხი-
ლე, ჩრდილი იხრდილე!

— ნეტავ რაშია საქმე? რატომ თავის სახ-
ლში აღარ ხდის არაყს? აქ რაღაც სხვა ამ-
ბავია! — გაიფიქრა ანა ქვლივიძემ
და სტუმარს სახლში შეუძღვა.

— ხი, ხი, ხი!.. — ხითხითებდა ამირან
ნანუაშვილი ანა ქვლივიძის
სამხადში და არაყის სახდელ ქვაბებს თავს
დასტრიალებდა. სწორედ ჩემზეა ნათქვამი:
„სხვისი თხა სხვისა ბოსტანში ოდელიას იძა-
ხდაო“. შენ ავაშენა ღმერთმა, სკაპენა! ოინიც
ამას ჰქვია! არა, კაცო, მაინც რა ოინი მას-
წავლა, გინახავს ამისთანა? კი, ბატონო, კა-
ნონი კანონია, მაგრამ მე კანონს არ ვარდ-
ვემ. ჩემს სახლში კაცმეფილი ვერ ნახავს. რა-
ყის გამოსახდელ მოწყობილობას. მეზობლის
საქმე კი მე არ მესება.

ამ ფიქრებში იყო ამირანი ანა
ქვლივიძის ოჯახში. მის მიერ გამოხ-
დილი 30 წლიანი არაყიდან ნაწილი სახლში
შეინახა, ნაწილი კი საიმედოდ შეფუთა და
სვერდლოვსკის ოლქში გაუგზავნა ცოლის-
ძმას — იავო როსტიაშვილს.

ამირან ნანუაშვილი მორიგი
ოინის ჩატარებას კიდევ აპირებდა მეზობლის
ხარჯზე, მაგრამ გაუგეს და სამართალში მის-
ცეს...

საგარეჯოელი სკაპენი ამირან ნანუ-
აშვილი მხილებულ იქნა თავისი ოინებით
და სასამართლოს განაჩენით დიასახა კიდევ.

ეგებ ახლა მაინც დაიმასხვოროს მან ქარ-
თული ანდაზა: სხვის ცხენზე შემჯდომი მა-
ლე ჩამოსტებოა!

მ. ზაალიშვილი



მილი

მინიონისა

მოქმედი პირები:

I მუშა

II მუშა

სცენარე გამოდიან I და II მუშა,

ხელში სამუშაო გეგმები და ბარები უჭირავთ. I მუშა მილს მოათრევს.

I მუშა: გამარჯობა, შენი, აქ რამ მოგიყვანა?!

II მუშა: სამუშაოდ მოვედი.

I მუშა: აქ, ამ ადგილას?

II მუშა: სწორედ ამ ადგილას. აი, ნახე გეგმა და ყველაფერს მიხვდები! (უჩვენებს გეგმას).

I მუშა: მართალი გითქვამს, თუმცა გასაკვირი კია.

II მუშა: გასაკვირი რად უნდა იყოს?

I მუშა: მეც აქ უნდა ვიმუშაო და იმიტომ, სწორედ ამ ალაგას. აბა, ახლა შენც დახედე ამ გეგმას! (უჩვენებს გეგმას).

II მუშა: კი, ასეა! მაინც აქ რა უნდა ქნა?

I მუშა: თხრილი უნდა ამოვიღო და ეს მილი ჩავმარხო.

II მუშა: მე კი თხრილი უნდა გავჭრა და მილი ამოვიღო.

I მუშა: ეს მილი?

II მუშა: ჰო, ეს მილი, რა, სხვაც არის სადმე თუ?

I მუშა: არა მგონია. გასაგებად მითხრეს, ამა და ამ ადგილას მილი აკლია, წადი და ჩამარხო!

II მუშა: მე კი დამავალეს, ამა და ამ ალაგას მილი ზედმეტია წადი და ამოთხარი!

I მუშა: ჰოდა, დავალბა უნდა შეასრულო!

II მუშა: მაგას რაღა თქმა უნდა, აიღე, დაიღე!... მაშ, რაღას ვაყოვნებთ?! საქმეს შევუდგეთ!

I მუშა: ჰო, მაგრამ პირველი ვინ შეუდგეს?

II მუშა: ორივე ერთად!..

I მუშა: არა, ასე არ გამოვა! მე თუ ჯერ ეს მილი არ ჩავმარხო, შენ როგორღა ამოთხარი?!

II მუშა: სწორი ხარ! ჰოდა, რაღას უცდი?

I მუშა: შენ კი დადგები და მიყურებ, ხომ?!

II მუშა: დაგელოდები.

I მუშა: ასე არ იქნება. შენ ხომ ჯერ ისედაც უნდა გავჭრა თხრილი და მერე მილი ამოვიღო?

II მუშა: კი, ასეა!

I მუშა: მაშ, ამოთხარე, მე მილს თხრილში ჩავდებ, მერე შენ მიხვალ და ამოიღებ!

II მუშა: ო-ო-ო! მასე არ გამოვა! მე ვთხარო და შენ დასვენებული იყო?! მერე კიდევ, მე მილი უნდა ამოთხარო, შენ კი უნდა ჩამარხო. ჰოდა, საქმეს შეუდექი!

I მუშა: მაშ, შევუდგეთ!.. იქნებ ერთად ამოგვეღო თხრილი, ჰა?

II მუშა: ვითომ, რატომ?

I მუშა: რატომ და, მილია ჩასადები, ესე იგი, მე ჩავდებ და მერე ორივე მიწას დავაყრით, შემდეგ ორივე ერთად ამოვთხრით, შემდეგ შენ მილს ამოიღებ და, ბოლოს, ორივენი თხრილს მიწით ამოვავსებთ.

II მუშა: რაღაც არ მომწონს!

I მუშა: რა არ მოგწონს?!

II მუშა: ესე იგი, მიწას ამოვთხრით, მილს ჩავმარხოვ და მერე უკანვე ამოვიღებთ... განა ეს სისულელე არ არის?

I მუშა: ოჰო! მაშ, რა ვქნათ?

II მუშა: ჩვენ სამუშაოდ გამოგვგზავნეს აქ, ილაქლაქეთო, არავის უთქვამს!

I მუშა: სწორია. ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ.

II მუშა: ისედაც ბევრი დრო დავკარგებთ.

I მუშა: რამდენი ვილაპარაკეთ, მაგრამ მაინც ვერაფერზე შევთანხმდით.

II მუშა: მართალი ხარ, ტყუილად ვილაპარაკეთ, მაგრამ რა ჩემი ბრალია? მე როგორც მითხრეს, ისე ვიქცევი.

I მუშა: მეც!

II მუშა: შენზე კი ამას ვერ იტყვის კაცი. მე აქ მილი უნდა ამოვთხარო, მაგრამ ვერ ამოთხარია, რადგან შენ არ ჩავმარხოვ!

I მუშა: კი ჩავმარხოვდი, მაგრამ მიტომ შევჩერდი, ეგების, ერთად...!

II მუშა: განა ის გვითხრეს, ერთად იმუშავეთო?!

I მუშა: არა, ცალ-ცალკეო.

II მუშა: აი, ხომ ხედავ, ცალ-ცალკეო! მე მარტოკამ უნდა ამოვთხარო, შენ კი ერთმა უნდა ჩამარხო!

I მუშა: რაღაც ისე მეჩვენება, რომ საქმე სწორად არ უნდა იყოს განაწილებული.

II მუშა: ჩვენ აქ საქმის გასანაწილებლად გამოგვგზავნეს თუ მილის მიწაში ჩასამარხავად და ამოსათხრელად?!

I მუშა: მილის ჩასამარხავად და ამოსათხრელად.

II მუშა: ჰოდა, მაშინ ნულარ ვაყოვნებთ! ვინმემ რომ გვიყუროს, იტყვის, სამუშაოდ კი არა, სალაქლაქოდ არიან მოსულვებიო!

I მუშა: აბა, აბა! შეიძლება, ესიც დაგვბერალონ, დგანან და ხელები უკან შემოუწყვიათო.

II მუშა: ამას, აბა, ვინ იტყვის? ისე, შენ რომ მილი ჩავმარხო, აქამდე ამოღებული მექნებოდა.

I მუშა: ჩამარხოვთ კი ჩავმარხოვდი, მაგრამ რაღაც გულს მაკლია.

II მუშა: გულსანაკულლო არაფერია. აქ მილი უნდა ჩამარხოს და მერე ამოითხაროს!

I მუშა: მაინც... აბა, ერთი ყური დამიგდე, რაღაცა გითხრა — შენ მილის ამოთხრა და მიტანა გაქვს დავალებული, ხომ?!

II მუშა: კი, მასეა.

I მუშა: ჰოდა, თავი დავანებოთ ამ თხრას! მოდი, მილს ისე მოგცემ და წაიღე!

II მუშა: რაო, მილი მიწიდან უნდა ამოვთხარო, აბა როგორ იქნება?! ფული მუქთად ჩავიჯობო?!

I მუშა: მაშ, მილის თრევა არაფერია?

II მუშა: მართალი ხარ, მაგრამ...

I მუშა: ჰოდა, ნუ გააჭირე საქმე! განა ამ მილის მიტანა არ ეჩქარებათ?


II მუშა: იქნებ, ეჩქარებოდეთ კიდევც!.. კარგი, ყაბულსა ვარ!.. მიიტა მილი! (მილს მხარზე იღებს).

I მუშა: ძლივს არ მოვრიგდით?! (საპირისპირო მიმართულებით მიდიან).

II მუშა: ახლა კი მოვრიგდით, მაგრამ იცოდე, სხვა დროს ამოდენა მილის წამოღება არ გაბედო!

პოლონურიდან თარგმნა გიორგი მაჭუბაძე


ილუსტრაციები ჯ. ლოლუსანი



ყვითელი იმპერი

— ალო! ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოება?
 — დიას!
 — თუ ღმერთი გწამთ, გამოგზავნეთ ვინმე! ჩვენთან ეზომი, ფოსტალიონი სეზე აქვრა და ჩვენს დოგს შეურაცხყოფას აყენებს!

— **ორი მდივან-მემაქანე ქალის საუბარი:**
 — საშინელი გამოგონებაა ეს საბეჭდი მანქანა!
 — რატომ?
 — როცა არ მუშაობ, მაშინვე ყველას ესმის!..



— **რესტორნის პატრონი აღვლევებული მიიჭრა კლიენტთან და შეპყვირა:**
 — რად მოკალით ჩვენი ოფიცინტი?
 — ნუ ღელავთ! ანგარიშიში შეიტანეთ!

— რა არის ზესიფნიზლე?
 — ???!
 — როცა ლოკოკინა მოსახვევში ამუხრუჭებს!

— **ერთი განგსტარი ეუბნება მეორეს:**
 — ჩემი ოცნებაა, გავძარცვო ბანკი და იქ ჩემი სიდდერის თითების ანაბეჭდები დავტოვო!

— მშვენიერი სიზმარი ვნახე, — ეუბნება ქმარი ცოლს, — თითქოს ისევ უცოლო ვიყავი და ხელი გთხოვე!
 — მერედა, რით ხარ ასე კმაყოფილი?
 — შენ უარი მითხარი!

— რატომ გადაწყვიტეთ ცოლს გაეყაროთ?
 — იგი საწოლში პაპიროსს ეწევა!
 — ეს ჯერ კიდევ არ არის გაყრის მიზეზი!
 — კი, მაგრამ საფერფლედ ჩემს ყურს იყენებს!




— **მკითხავი ეუბნება მილიონერის ცოლს:**
 — მოემზადეთ, მადამ! თქვენი ქმარი მალე საშინელი სიკვდილით მოკვდება!
 — მე გამამართლებენ? — ეკითხება ქალი.

— **ორი სტუდენტის საუბრიდან:**
 — წარმოგიდგენია?! პროფესორი, რომელსაც ასტრონომიას ვაბარებდი, ღვთისმოსავი ყოფილა!
 — რატომ ფიქრობ ასე?
 — ჩემს ყოველ პასუხზე ცისკენ აღაყრობდა ხოლმე თვალებს და ვედრებით ამბობდა: „ო, ღმერთო ჩემო!“

— მოწმევ, ცოლიანი ხართ?
 — არა, ბატონო! უბრალოდ ასე გამოვიყურები!

თარგმა სულსან ჯორჯანელმა

ამერიკის შეერთებულ შტატებში
 20 მილიონი მოქალაქე შიმშილობს
 გიგლიოტიყა



— ბატონო ინსპექტორო, პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს!
 — ჩვენთან 20 მილიონი თავისუფალი ამერიკელი შიმშილობს, და პატიმრებმა რომ იშიმშილონ, ამით არაფერი დაშავდება!..




დანამატი... ხელკატიხათვის

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ცნობილი გახდა, აპირებს ფულადი დანამატების შემოღებას იმ პოლიციელებისათვის, რომლებსაც გამოიყენებენ პროფკავშირთა მიტინგებისა და დემონსტრაციების გასაფანტავად.



ნ.ბ. ბ. ლომიძისა




**ლანჩხუთის „გურიის“ სალღობო სიმაკრა
უაღლეს ლიგაში გაღასკლის შემდეგ
ნახვარად გუკულ ქოლოზა**

ბედნიერ დღეს გაჩენილი მე ვარ ლანჩხუთის „გურია“!
მე რომ პატრონი მყავდა და მყავს, — იმგვარები ტყულია!
გარდაშვლად დადგა ჩემთვის ეს თორმეტი ნომბერიც! —
უმაღლეს ლიგას ვეხლე, დაბრუნებას აღარ ველი!
ჩვენ, ლანჩხუთელებს, უმაღლეს ლიგებში გვიყვარს გადასვლა!
მიზანი ყველაჯ ერთი გვაქვს, ასპარეზი გვაქვს სხვადასხვა!
ფეხბურთის გარდა ბევრ ფრონტზე იბრძვის პატარა ლანჩხუთი,
ბევრი ცნობილი შვილი ჰყავს, შრომა-ჩაფაში აქვს „ხუთი“!
კი, აზარტული გუნდი ვარ, მიყვარს შეტევა, მიწოლა!..
არ ვუშინდები არაფერს, ვგავარ დარჩია სისონას!
კარს გამუდმებით თავს ვესხმი და ბურთებს ვუშენ ბომბებად,
ამიტომაც მაქვს ლიგაში ყველაზე მეტი მოგება!
დღეს გურიაში ჩემ გამო აღფრთოვანების ჩანყია!
საქართველოში „გ უ რ ი ა - გ უ რ ი ა ს“ გაიძახიან!
შორს გამივარდა სახელი და მე ვარ ამის თავდები, —
უფრო შორს გამივარდება, არასდროს გამოვვარდები!
შაქსიმუშამდე მისვლაში (მინიმუმამდე მივედი!)
მაქვს ნუგზარ ენდელაძის და ემზარ ბერიძის იმედიც!
ზოგ ვაი-გულშემატიყვარს, — წლეულს რომ გული მატკინა, —
შეატრად ვაფრთხილებ: გაისად თავს ნუ გაიხდის პატიმრად!
ნურც ერთ გუნდს ჩემი სტუმრობა ნუ ეგონება ხუმრობა!
იშასაც მოვეწონები, ვინც უმიზეზოდ მწუნობდა!
ფრთები რომ ფართოდ გაშალოს დიდმა ფეხბურთმა ქართულმა,
უთუოდ უნდა მომზადონ ქუთაისმა და ბათუმმა!
ბათუმთან მუდამ მექნება უმჭიდროესი კავშირი! —
იქ ძეგლი უნდ დავუდგა გოლს ბესიკ ფრიდონაშვილის!
იბრწყინებს ოქროს ფინიშით, თუკი მომზადავს თბილისიც! —
თუ არ მომზადავს, ეგება სულ გამოვარდეს, ვინ იცის?..

შალე გაჩვენებთ უეფას თასის ფინალში თამაშსაც!
თასს ჩამოვიტან ლანჩხუთში და შიგ „ბახმაროს“ ჩავასხამ!
პატარა ბანკეტს გავმართავ (დიდ ბანკეტს დიდი დრო მიაქვს!)
და დავაყენებ თამადად ჩემს პაიჭაძე ბორიას!

თქვენც, ძმებო, ჩოხატაურო და მახარაძეც, მომზადეთ!
ჩემი სათქმელი საჩქაროდ გალექსა ზ ა უ რ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე მ .
12 ნომბერი, 1986 წელი.
ნახატი ჯემალ ლოლუასი



სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“ № 21
(1727), ნომბერი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭეშალ
ლოლუა, ნოდარ მალაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია, ბე-
ჟან სიხარულიძე, (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წივწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადიცვა ასაწყობად
4. 10. 86 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდოდ 14. 11.
86 წ. ქალაქის ზომა
60x90/8. ფიზიკური ნაბე-
ჭი ფურცელი 1,5, სად-
რიცხო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს
კ (კ)-ის გამომცემლობა,
ლენინის 14. შეკვ. 2272
შე 05162 ტირაჟი 143.000.
ჟურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/შ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მემანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.